საქართველოს ადვოკატთა ასოციაციის სახელით

ეთიკის კომისიის

გ ა დ ა წ ყ ვ ე ტ ი ლ ე ბ ა

დისციპლინური ზემოქმედების ღონისძიების დაკისრების თაობაზე

პირველი დისციპლინური კოლეგიის შემადგენლობა:

კონსტანტინე გელაშვილი - კოლეგიის თავმჯდომარე

ეკატერინე გეწაძე - კოლეგიის წევრი

ეკატერინე მაჭარაშვილი - კოლეგიის წევრი

საჩივრის ავტორი: საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს დროებითი მოთავსების უზრუნველყოფის დეპარტამენტი, დეპარტამენტის დირექტორი გ. მ.
საჩივრის კომისიაში შემოსვლის თარიღი: 05.05.2020
საჩივრის რეგისტრაციის N039/20
საჩივარი შემოტანილია: ადვოკატ ვ. ბ.-ის მიმართ, სიითი N
საჩივრის მოთხოვნა: ადვოკატ ვ. ბ.-ისთვის დისციპლინური პასუხისმგებლობის დაკისრება

I აღწერილობითი ნაწილი

1. **მომართვის შინაარსი:**

1.1 საქართველოს ადვოკატთა ასოციაციის ეთიკის კომისიას 2020 წლის 5 მაისს მომართა საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს დროებითი მოთავსების უზრუნველყოფის დეპარტამენტის დირექტორმა და მოითხოვა ადვოკატ ვ. ბ.-ისთვის დისციპლინური პასუხისმგებლობის დაკისრება.

1.2 მომართვის თანახმად, 2020 წლის 09 მაისს, საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს დროებითი მოთავსების უზრუნველყოფის დეპარტამენტის შიდა ქართლისა და მცხეთა – მთიანეთის რეგიონული სამსახურის --- დროებითი მოთავსების იზოლატორში მოთავსდა, საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 11 პრიმა 151–ე მუხლის მეორე ნაწილით დაკავებული ი. მ.-ის ძე ჩ..

1.3 მომართვის მიხედვით, ადვოკატმა ვ. ბ.-მა, რომელსაც მხოლოდ სამოქალაქო სამართლის მიმართულებით აქვს სპეციალიზაცია, ი.-სთან შეხვედრის მიზნით, --- დროებითი მოთავსების იზოლატორში წარადგინა ორდერი N, რომელიც გამოწერილი იყო აღნიშნული სისხლის სამართლის საქმეზე. წარდგენილი ორდერის საფუძველზე, 2020 წლის 10-11 მაისს ადვოკატი ვ. ბ. ივანეს სამჯერ შეხვდა იზოლატორში.

1.4 მომართვის თანახმად, იზოლატორის თანამშრომლების მხრიდან სამსახურებრივი მოვალეობისადმი დაუდევარი და გულგრილი დამოკიდებულების ფაქტზე დროებითი მოთავსების უზრუნველყოფის დეპარტამენტის მონიტორინგის სამსახურის მიერ დაწყებულია სამსახურებრივი შემოწმება. დეპარტამენტის მოთხოვნაა შემოწმდეს ადვოკატ ვ. ბ.-ის პროფესიული ქცევის ეთიკურობა.

2. ადვოკატის პოზიცია:

2.1 2020 წლის 22 ივნისს ადვოკატმა ვ. ბ.-მა წარმოადგინა წერილობითი განმარტება და მოითხოვა საქმის წარმოების შეწყვეტა იმ მოტივით, რომ მის მიმართ არ არსებობს დისციპლინური პასუხისმგებლობის დაკისრების სამართლებრივი საფუძველი. ადვოკატმა ვ. ბ.-მა მონაწილეობა მიიღო საპროცესო კოლეგიის სხდომაში 2020 წლის 29 ივნისს. ადვოკატმა მხარი დაუჭირა წარმოდგენილ პოზიციას.

2.2 ადვოკატის განცხადებით, 2020 წლის 09 მაისს დახმარების თხოვნით მიმართა ი. ჩ.-ის ოჯახმა. ი. ჩ. წარმოადგენს მის ნათესავს. 2020 წლის 11 მაისს ი. ჩ.-სთან შესახვედრად ადვოკატმა გამოწერა ორდერი N. ი. დარჩენილი იყო დაცვისა და კვალიფიციური კონსულტაციის გარეშე. გამომძიებელი ცდილობდა აღიარება მიეღო მისგან. ასევე, გამომძიებელმა ი. ჩ.-ს ხელი არაინფორმირებულად მოაწერინა შესაძლო მტკიცებულებების გაცვლის ოქმზე, თუმცა გამომძიებელს მისთვის მტკიცებულებები არ გადაუცია.

2.3 ადვოკატის განცხადებით, იგი სამჯერ შეხვდა ი. ჩ.-ს და ურჩია მოეთხოვა საზოგადოებრივი ადვოკატი. მიუხედავად იმისა, რომ კლიენტი ითხოვდა დაენიშნათ საზოგადობრივი ადვოკატი, იზოლატორში აცხადებდნენ, რომ ი. ჩ. არ ითხოვდა საზოგადოებრივ ადვოკატს. ადვოკატმა საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს დროებითი მოთავსების დეპარტამენტში ზეპირად წარადგინა პრეტენზია და დააფიქსირა, რომ ადამიანის უფლებები ილახებოდა და იზოლატორის ქმედებები არ შეესაბამებოდა კანონს. ადვოკატმა ასევე წერილობით მოითხოვა დროებითი დაკავების იზოლატორის კამერის აღწერის ჩატარება, თუმცა აღმოჩნდა, რომ ამის გაკეთება ტექნიკურად შესაძლებელი არ იყო.

2.4 ადვოკატის განმარტებით, მან აღკვეთის ღონისძიების დანიშვნის დღეს, მეოთხედ სცადა იზოლატორში კლიენტთან შესვლა, რათა დარწმუნებულიყო, რომ ი. ჩ.-ს საზოგადოებრივი ადვოკატი დაენიშნა, თუმცა იზოლატორის უფროსმა მას შესვლის უფლება არ მისცა იმ მიზეზით, რომ სამოქალაქო სამართლის სპეციალიზაციის ადვოკატს არ ჰქონდა უფლება იზოლატორში შესულიყო. ადვოკატის განმარტებით, მისი სპეციალიზაციის შესახებ იზოლატორის უფროსსაც და თანამშრომლებსაც მანამდეც ჰქონდათ ინფორმაცია.

2.5 ადვოკატის პოზიციით, მას არ დაურღვევია ეთიკის კოდექსის ნორმები, პირიქით მიიჩნევს, რომ მოიხადა მისი, როგორც უფლებადამცველის ვალი - დაეხმარა გასაჭირში მყოფ ადამიანს. ადვოკატის მოსაზრებით, მისი წარმომადგენლობა უნდა შეფასდეს ადმინისტრაციულ ორგანოსთან განხორციელებულ წარმომადგენლობად. ამასთან, ადვოკატის განმარტებით, არ არსებობს კანონი, რომელიც მას, როგორც სამოქალაქო სამართლის სპეციალიზაციის მქონე ადვოკატს აუკრძალავს ორდერის გამოწერას კლიენტის მონახულებისათვის.

2.6 ადვოკატი ხაზგასმით აღნიშნავს, რომ კლიენტს მის მიმართ არანაირი პრეტენზია არ აქვს. როგორც ივანემ, ასევე მისმა მეუღლემ, იცოდნენ, რომ ვ. ბ.-ს არ გააჩნდა ადვოკატის მოწმობა სისხლის სამართლის სპეციალიზაციით, ხოლო საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს დროებითი მოთავსების უზრუნველყოფის დეპარტამენტის საჩივარი წარმოადგენს ადვოკატის დევნას, რათა გადაიფაროს მათ მიერ ჩადენილი სამართალდარღვევა.

2.7 ეთიკის კომისიის განხილვის კოლეგიის სხდომაზე, 2022 წლის 22 თებერვალს ადვოკატმა განმარტა, რომ მან გაიაზრა ეთიკის კომისიის დისციპლინური დევნის აღძვრის საფუძვლებში მითითებული კოლეგების პოზიცია და საქართველოს ადვოკატთა ასოციაცია ვერ დაუშვებს პრეცედენტს სამოქალაქო სამართლის სპეციალიზაციის ადვოკატი ორდერში უთითებდეს სისხლის სამართლის საქმეზე დაცვის განხორციელებას.

2.8 ადვოკატის განმარტებით, პანდემია ახალი დაწყებული იყო, როდესაც ქ. --- იმყოფებოდა ოჯახის წევრებთან ერთად და დაუკავშირდა ოჯახის ახლობელი, ი. ჩ.-ის შვილი და აცნობა, რომ მამამისი დააკავეს მეუღლეზე ძალადობის ბრალდებით. ადვოკატმა პოტენციური კლიენტის შვილს აუხსნა, რომ მას არ ჰქონდა სისხლის სამართლის სპეციალიზაცია და დაცვას ვერ განახორციელებდა. ოჯახმა სთხოვა რომ შეხვედროდა სასჯელაღსრულების დაწესებულებაში მყოფ ი. ჩ.-ს და ის მაინც გაეგო თუ როგორ იყო. ადვოკატის განმარტებით, დაკავებულ პირს სამოქალაქო უფლებები არ ეზღუდება და ადვოკატს მიუხედავად სპეციალიზაციისა უნდა შეეძლოს მასთან კომუნიკაცია გარკვეულ ფარგლებში.

2.9 ადვოკატის განმარტებით, ი. ჩ.-ის დასაცავად გამოწერილი ორდერი მის პროფესიულ საქმიანობაში პირველი ორდერი იყო. მან პენიტენციური დაწესებულების თანამშრომელს გადასცა ორდერი, ადვოკატის მოწმობა და მას მისცეს კლიენტთან შესვლის შესაძლებლობა. იზოლატორში ი. ჩ.-მ ადვოკატს აცნობა, რომ მას ხელი მოაწერინეს სისხლის სამართლის საქმის მასალების მიღებაზე ისე, რომ მას რეალურად ეს დოკუმენტაცია არ მიუღია და ეს ფაქტი ადვოკატმა გამომძიებელს აცნობა. იგივე ინფორმაცია აცნობა ზედამხედველ პირს, რომ საკნის აღწერა ჩატარებული. ადვოკატის კლიენტთან კომუნიკაცია შემოიფარგლებოდა იმით, რომ აეყვანა საზოგადოებრივი ადვოკატი, რადგან ოჯახს არ ჰქონდა კერძო ადვოკატის დაქირავების ფინანსური საშუალება. ადვოკატის ინფორმაციით, მეოთხედ როდესაც მივიდა იზოლატორში, იზოლატორის ხელმძღვანელმა უთხრა, რომ მოიკითხა თბილისში, აღმოჩნდა რომ იგი წარმოადგენდა სამოქალაქო სამართლის სპეციალიზაციის მქონე ადვოკატს და ,,მას აუცილებლად მოეთხოვებოდა ამის გამო.“ ეს იმის გამო მოხდა რომ იზოლატორში ირღვეოდა ი. ჩ.-ის უფლებები. ადვოკატის განმარტებით, მას როგორც სამოქალაქო სამართლის ადვოკატს აქვს, დაკავებულ პირთან შეხვედრის და იმ ინფორმაციის მიღების უფლება თუ როგორ არის ის. ადვოკატი

რამდენად შეძლებს კლიენტთან შესვლას, ეს უკვე იზოლატორის კომპეტენციაა. თუ იზოლატორი ადვოკატს აძლევს შესვლის შესაძლებლობას, ის ვალდებულია თავის კლიენტს დაეხმაროს. ადვოკატი ვ. ბ. ადასტურებს რომ ი. ჩ.-ს ეხმარებოდა საადვოკატო საქმიანობის ფარგლებში და კლიენტის დასახმარებლად იყენებდა ადვოკატის კვალიფიკაციას.

2. დისციპლინური დევნის აღმძვრელი საპროცესო კოლეგიის პოზიცია:

2.1 2020 წლის 30 ივლისს საპროცესო კოლეგიამ მიიღო გადაწყვეტილება ადვოკატ ვ. ბ.-ის მიმართ დისციპლინური დევნის აღძვრის თაობაზე.

2.2 საპროცესო კოლეგიამ მიიჩნია, რომ ვინაიდან დგინდებოდა, რომ ადვოკატმა ვ. ბ.-მა, რომელსაც გააჩნია სამოქალაქო სამართლის სპეციალიზაცია, გამოწერა ორდერი, რომლის დავალებად განსაზღვრა ი. ჩ.-ის საქმეზე (სისხლის სამართლის საქმე 151[1] მუხლი) საადვოკატო მომსახურების გაწევა და მოცემული ორდერის საფუძველზე სამართლებრივი კონსულტირების მიზნით სამჯერ მოინახულა დროებითი მოთავსების იზოლატორში მყოფი, სისხლის სამართლის საქმეზე დაკავებული პირი, ადვოკატის მხრიდან სავარაუდოდ დარღვეულია ,,ადვოკატთა შესახებ" საქართველოს კანონის მე-3 მუხლის „ა" ქვეპუნქტი, მე-5 მუხლის „ა" ქვეპუნქტი, მე-6 მუხლის პირველი პუნქტი, ადვოკატთა პროფესიული ეთიკის კოდექსის მე-5 მუხლის მეორე წინადადება.

II სამოტივაციო ნაწილი

3. საქმის ფაქტები:

3.1 განხილვის კოლეგიის მიერ დადგენილია შემდეგი ფაქტები, რომლებიც უდავოა მხარეთა შორის:

3.1.1 ადვოკატმა ვ. ბ.-მა გამოწერა ორდერი, რომლის დავალებად განსაზღვრა ვ. ჩ.-ის საქმეზე (სისხლის სამართლის საქმე 151[1] მუხლი) საადვოკატო მომსახურების გაწევა. ადვოკატმა მოცემული ორდერის საფუძველზე სამართლებრივი კონსულტირების მიზნით სამჯერ მოინახულა დროებითი მოთავსების იზოლატორში მყოფი, სისხლის სამართლის საქმეზე დაკავებული პირი.

განხილვის კოლეგია ეყრდნობა შემდეგ მტკიცებულებას:
10.05.2020 წლის ორდერი №

3.1.2 ადვოკატ ვ. ბ.-ის სპეციალიზაცია - სამოქალაქო-ადმინისტრაციული სამართალი, სიითი №.

განხილვის კოლეგია ეყრდნობა შემდეგ მტკიცებულებას:
საქართველოს ადვოკატთა ასოციაციის ერთიანი სია

4. შემაჯამებელი დასკვნა:

განხილვის კოლეგია გაეცნო საქმის მასალებს, მოისმინა მხარის ახსნა-განმარტება და მიიჩნევს, რომ ადვოკატ ვ. ბ.-ის მიერ ჩადენილია დისციპლინური გადაცდომა.

5. სამართლებრივი შეფასება:

5.1 განხილვის კოლეგიამ მიიჩნია, რომ ადვოკატ ვ. ბ.-ის მიერ დარღვეულია ადვოკატთა პროფესიული ქცევის შემდეგი ნორმები:

„ადვოკატთა შესახებ“ საქართველოს კანონის მე-3 (ა) მუხლი - „საადვოკატო საქმიანობის პრინციპებია: კანონიერება ...“

,,ადვოკატთა შესახებ“ საქართველოს კანონის 6.1 მუხლი: ,,ადვოკატს უფლება აქვს კლიენტის ინტერესების დასაცავად გამოიყენოს ყველა საშუალება, რომელიც აკრძალული არ არის კანონმდებლობით ან პროფესიული ეთიკის ნორმებით.”

ადვოკატთა პროფესიული ეთიკის კოდექსის მე-5 მუხლის მეორე წინადადება - „.... კლიენტის ინტერესების დასაცავად ადვოკატის ქმედებები უნდა შეესაბამებოდეს კანონმდებლობასა და ადვოკატთა პროფესიული ეთიკის კოდექსს“.

,,ადვოკატთა შესახებ“ საქართველოს კანონის მე-5 (ა) მუხლი - „ადვოკატი ვალდებულია კეთილსინდისიერად შეასრულოს პროფესიული ფუნქციები“. ადვოკატთა პროფესიული ეთიკის კოდექსის 8.5 მუხლი - „ადვოკატმა კვალიფიციურად და კეთილსინდისიერად უნდა მისცეს რჩევა კლიენტს და განახორციელოს წარმომადგენლობა.”

5.2 განხილვის კოლეგია იზიარებს საპროცესო კოლეგიის სამართლებრივ კვალიფიკაციას. კერძოდ, ადვოკატთა შესახებ საქართველოს კანონი საადვოკატო საქმიანობის განხორციელებისას ადგენს ადვოკატის ზოგადი ხასიათის უფლებებსა და მოვალეობებს, რომელთა დაცვა ადვოკატთა პროფესიული ეთიკის კოდექსის პრინციპებთან ერთად უზრუნველყოფს ადვოკატთა ეთიკურ საქმიანობას. პროფესიული სტანდარტები ადვოკატის ერთ-ერთ მნიშვნელოვან ვალდებულებად მიიჩნევს პროფესიული საქმიანობის კეთილსინდისიერად შესრულებას. თითოეული ადვოკატის მიერ პროფესიული ფუნქციების კეთილსინდისიერად შესრულება მაღალ ზნეობრივი ეთიკური ვალდებულებების დაცვით, უზრუნველყოფს ადვოკატთა კოლეგიალურ გარემოში საქმიანობას და საზოგადოების რწმენის გაძლიერებას ამ პროფესიისადმი (ეთიკის კომისიის საქმიანობა - პრეცედენტები, რეკომენდაციები. 2013-2016 წ. გვ. 65).

5.3 ადვოკატთა შესახებ საქართველოს კანონის (მუხლი 10) მიხედვით, ადვოკატი შეიძლება იყოს საქართველოს მოქალაქე, ვისაც სხვა წინაპირობებთან ერთად, ჩაბარებული აქვს ადვოკატთა საკვალიფიკაციო გამოცდა კანონით დადგენილი წესით. ამავე კანონის მიხედვით, ადვოკატთა საკვალიფიკაციო გამოცდა არის საერთო ან სპეციალიზაციის მიხედვით (რაც გულისხმობს სამოქალაქო ან სისხლის სამართლის სპეციალიზაციას). ადვოკატს, რომელსაც ჩაბარებული აქვს საკვალიფიკაციო გამოცდა სპეციალიზაციის მიხედვით, უფლება აქვს, საადვოკატო საქმიანობა განახორციელოს შესაბამის დარგში. ადმინისტრაციულ სამართალწარმოებაში ადვოკატად მონაწილეობის უფლება აქვს ნებისმიერ ადვოკატს (იხ. ადვოკატთა შესახებ საქართველოს კანონის მე-11 მუხლის მე-8 პუნქტი). შესაბამისად, ადვოკატმა საადვოკატო მომსახურება უნდა განახორციელოს მხოლოდ იმ მიმართულებით, რომელშიც ჩაბარებული აქვს ადვოკატთა საკვალიფიკაციო გამოცდა, გააჩნია შესაბამისი გამოცდილება და არის სპეციალიზებული.

5.4 ეთიკის კომისიის განმარტებით, საქმიანობის განხორციელება შესაბამისი სპეციალიზაციის მიხედვით კეთილსინდისიერად და კვალიფიციურად წარმომადგენლობის ერთ-ერთი ნიშანია. „ადვოკატი ვალდებულია კლიენტს მომსახურება გაუწიოს ადვოკატთა ასოციაციის მიერ გაცემული კვალიფიკაციის დამადასტურებელ მოწმობაში მითითებული სპეციალიზაციის მიხედვით. ... შესაბამისი კვალიფიკაციის მინიჭებით, ადვოკატთა ასოციაცია უზრუნველყოფს ადვოკატის პროფესიული ვალდებულების - კლიენტის ინტერესთა კვალიფიციურად დაცვის - შესრულებას, რაც კლიენტისათვის შესაძლო ზიანის მიყენების რისკს ამცირებს და მინიმალურ სტანდარტს აწესებს, ასოციაციის მიერ მინიჭებული კვალიფიკაციის შესატყვისად კლიენტის ინტერესების დაცვის თვალსაზრისით.“ (ეთიკის კომისიის გადაწყვეტილება 091/13, 26 ივნისი, 2014 წელი). საქმიანობის განხორციელება სამართლის მხოლოდ იმ დარგში, რომელშიც ადვოკატი არის სპეციალიზებული, წარმოადგენს არა მხოლოდ კანონით დადგენილ მოთხოვნას, არამედ კლიენტის ინტერესების დაცვის მიზნიდან გამომდინარე ეთიკის კომისიის მიერ დადგენილ პრაქტიკას. ,,სპეციალიზებული საქმიანობა მინიმალურ სტანდარტს აწესებს ასოციაციის მიერ მინიჭებული კვალიფიკაციის შესატყვისად კლიენტის ინტერესების დაცვის თვალსაზრისით“ (ეთიკის კომისიის 2011 წლის 26 აგვისტოს გადაწყვეტილება, საქმე N030/11).

5.5 ადვოკატის მიერ პროფესიული ფუნქციების კეთილსინდისიერად შესრულება სპეციალიზაციასთან მიმართებით გულისხმობს, რომ კლიენტი წინასწარ იყოს ინფორმირებული ადვოკატის სპეციალიზაციის და მისი უფლებამოსილებების შესახებ. ეთიკის კომისიის განმარტებით, კეთილსინდისიერების ვალდებულების უხეში დარღვევაა, როცა ადვოკატი წინასწარ არ აცნობებს კლიენტს მისი სპეციალიზაციიდან გამომდინარე უფლებამოსილებების თაობაზე (ეთიკის კომისიის საქმიანობა, პრეცედენტები და რეკომენდაციები, 2014-2016 წწ, გვ. 92).

5.6 ადვოკატს კლიენტი მიმართავს იმ მიზნით, რომ მან თავისი ცოდნა და უნარები გამოიყენოს კლიენტის ინტერესების დასაცავად, **თუმცა კლიენტის სამართლებრივი დახმარებისას ადვოკატის პროფესიული ვალდებულებაა მხოლოდ კანონით დაშვებული დაცვის საშუალებები გამოიყენოს.** ადვოკატი საზოგადოებაში აღქმული უნდა იყოს, როგორც კანონიერების დამცველი, მაღალი პროფესიული ეთიკის მატარებელი და ხელს უწყობდეს პროცესის მწარმოებელი ორგანოების, საზოგადოების თვალში ადვოკატის პროფესიისადმი ნდობის ამაღლებას. ევროსასამართლომ საქმეში Brandstetter v Austria (განაცხადი 11170/84; 12876/87, 13468/87; 1991 წლის 28 აგვისტოს გადაწყვეტილება) აღნიშნა, რომ „დაცვის უფლების განხორციელება ნებადართულია მხოლოდ კანონიერი ქმედებების ფარგლებში. ადამიანის უფლებათა და თავისუფლებათა ევროპული კონვენციის მე-6 მუხლი არ ანიჭებს პირს შეუზღუდავ უფლებას, განახორციელოს ნებისმიერი სახის დაცვითი მოქმედება და დაუშვებელად მიიჩნევს არაკანონიერ ქმედებათა გამართლებას ამ უფლების განხორციელების საფუძვლით. ადვოკატმა დაცვის განხორციელებისას პატივი უნდა სცეს სასამართლოს და სხვა პირთა უფლებებს. ის გარემოება, რომ ადვოკატი მოქმედებს თავისი ან თავისი დაცვის ქვეშ მყოფი პირის ინტერესებიდან გამომდინარე, არ ამართლებს მას არაკანონიერი ქმედებების განხორციელების შემთხვევაში.“

5.7 პატიმრობის კოდექსის მიხედვით, ბრალდებულს, მსჯავრდებულს შეუძლია საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით ისარგებლოს ადვოკატის მომსახურებით. ადვოკატები უნდა ახორციელებდნენ კანონით გათვალისწინებულ საადვოკატო საქმიანობას (იხ. პატიმრობის კოდექსის მე-18 მუხლის პირველი, მე-2 და მე-4 ნაწილები). ,,ადვოკატთა შესახებ" საქართველოს კანონის მე-19 მუხლის მე-2 პუნქტის თანახმად - „გამოძიების ორგანოებში ან საქმის სასამართლოში განხილვისას ადვოკატი ვალდებულია საადვოკატო საქმიანობის უფლების დამადასტურებელ მოწმობასთან ერთად წარადგინოს დადგენილი წესით კლიენტის მიერ მასზე გაცემული დოკუმენტი - მინდობილობა ან ორდერი". „ორდერი წარმოადგენს კლიენტის მიერ ადვოკატისათვის მინიჭებული უფლებამოსილების დამადასტურებელ დოკუმენტს, რომელის საფუძველზე ადვოკატს უფლება აქვს იმოქმედოს კლიენტის სახელით და უზრუნველყოს მისი ინტერესების წარმოდგენა შესაბამის ორგანოებში მისთვის მინიჭებული უფლებამოსილების ფარგლებში" (2018 წლის 18 აპრილის გადაწყვეტილება საქმეზე №048/15). ზემოაღნიშნული მსჯელობით დგინდება, რომ ადვოკატს შეუძლია სისხლის სამართლის საქმეში ჩაერთოს მხოლოდ ორდერის წარდგენის შემთხვევაში, ხოლო მომსახურება უნდა განახორციელოს სპეციალიზებულმა ადვოკატმა (სისხლის ან საერთო სპეციალიზაციის მქონე ადვოკატმა). აღნიშნულიდან გამომდინარე, სისხლის სამართლის საქმეში ადვოკატი ორდერს ამოწერს და მასში სიით ნომერს უთითებს სისხლის სამართლის სპეციალიზაციის ფლობის შემთხვევაში. მომსახურება მოიცავს კონსულტაციის გაწევასაც სამართლებრივი დოკუმენტების შედგენისა და წარმომადგენლობის პარალელურად (ადვოკატთა შესახებ საქართველოს კანონის მუხლი 2). თუმცა, ადვოკატს აქვს უფლება, რომ მის სპეციალიზაციას მიკუთვნებული საკითხების ფარგლებში მომსახურება გაუწიოს იმ კლიენტს, მაგალითად, სამოქალაქო სამართლის სპეციალიზაციის ადვოკატმა კონსულტაცია გაუწიოს სასჯელაღსრულების დაწესებულებაში მყოფ კლიენტს სამოქალაქო ან ადმინისტრაციული სამართლის საკითხებზე, დაესწროს კლიენტის გამოკითხვას პროკურატურაში (თუ საკითხი უკავშირდება სამოქალაქო სამართლის საკითხებს, მაგალითად ფინანსურ დავას) და შეასრულოს სხვა ისეთი სამართლებრივი მოქმედებები, რის შესაძლებლობასაც იძლევა მისი სპეციალიზაცია და მიმდინარე კანონმდებლობა. აღნიშნულს ადვოკატთა პრაქტიკაში არაერთხელ ჰქონია ადგილი, სამოქალაქო სამართლის სპეციალიზაციის მქონე ადვოკატებს ზემოაღნიშნულ შემთხვევებში აქვთ შესაძლებლობა იმოქმედონ პროფესიული სტატუსით ორდერის ან მინდობილობის საფუძველზე, სადაც სწორად იქნება ინფორმაცია შეტანილი მათი სპეციალიზაციიდან გამომდინარე მომსახურების საგანზე და მომსახურების შესრულების ადგილზე.

5.8 მომართვის ავტორი მიუთითებს ფაქტზე, რომ ადვოკატი ვ. ბ., რომელსაც ადვოკატის მოწმობა გააჩნია მხოლოდ სამოქალაქო სამართლის სპეციალიზაციით, დროებითი მოთავსების იზოლატორში, სისხლის სამართლის საქმეზე დაკავებულ პირს - ი. ჩ.-ს შეხვდა სამჯერ, მის მიერვე გამოწერილი ორდერის საფუძველზე, რასაც ადვოკატი ეთანხმება. წარმოდგენილი მტკიცებულებითაც დასტურდება ადვოკატის მიერ ორდერის გამოწერის ფაქტი სისხლის სამართლის საქმეზე. **ორდერის მიხედვით დავალებად განისაზღვრა: ვ. ჩ.-ის საქმეზე (სისხლის სამართლის საქმე 151[1] მუხლი) საადვოკატო მომსახურების გაწევა.** შესაბამისად, დადგენილ

ფაქტად შეიძლება იქნას მიჩნეული, რომ ადვოკატმა ვ. ბ.-მა კლიენტთან ურთიერთობისთვის წარმოადგინა დოკუმენტი, რომელიც სისხლის სამართლის საქმეში მონაწილეობისათვის დასაშვებად გამოიყენება, ადვოკატს კი სისხლის სამართლის სპეციალიზაციით ადვოკატის მოწმობა არ გააჩნდა. მართალია, ადვოკატი უთითებს, რომ კანონში არ არსებობს პირდაპირი აკრძალვა ორდერის საფუძველზე სამოქალაქო სამართლის სპეციალისტის მიერ სისხლის სამართლის საქმეში იურიდიული მომსახურების გაწევის შესაძლებლობასთან დაკავშირებით, მაგრამ ზემოაღნიშნული ნორმების საფუძველზე ჩამოყალიბებული განმარტება (5.3-5.7 აბზაცები) ცხადყოფს, რომ სისხლის სამართლის საქმეზე დაკავებულთან იზოლატორში შეხვედრა ორდერის საფუძველზე და იურიდიული მომსახურების განხორციელება სპეციალიზირებული ადვოკატების კომპეტენციაა.

5.9 აქვე, აღსანიშნავია, რომ ადვოკატი მის წერილობით პოზიციაში, ისევე, როგორც ზეპირად წარმოდგენილ განმარტებაში ხაზს უსვამს, რომ მისი სპეციალიზაციის შესახებ ინფორმაციას ფლობდა როგორც თავად ი. ჩ., ასევე მისი მეუღლე, რომელმაც სთხოვა მას ი.-ს საქმეში დახმარება. აღნიშნული ფაქტის დამადასტურებელი მტკიცებულება ადვოკატ ვ. ბ.-ის მიერ საქმეში წარმოდგენილი არ არის, მისი მხრიდან არც მოწმის გამოკითხვის შუამდგომლობა დაყენებულა, შესაბამისად, კლიენტის ინფორმირება სპეციალიზაციასთან დაკავშირებით არ დგინდება. თუმცა იმის გათვალისწინებით, რომ ი. ჩ. არ წარმოადგენს საჩივრის ავტორს, დეპარტამენტის მიერ მომართვაში დაყენებული პრეტენზიიდან გამომდინარე საპროცესო კოლეგიის მიერ ადვოკატის კეთილსინდისიერება არ მოწმდება სპეციალიზაციის შესახებ კლიენტის წინასწარი ინფორმირების ნაწილში.

5.10 საპროცესო კოლეგია ყურადღებას ამახვილებს ადვოკატის პროფესიულ ქცევაზე: ადვოკატმა რომლისთვისაც ცნობილი იყო, რომ არ ფლობდა სისხლის სამართლის სპეციალიზაციას და არ იყო უფლებამოსილი სისხლის სამართლის საქმეში ჩართულიყო, გამოწერა ორდერი და მის საფუძველზე, როგორც ადვოკატი განმარტავს, მხოლოდ და მხოლოდ კლიენტის ინტერესების დასაცავად შევიდა დროებითი დაკავების იზოლატორში. ადვოკატის ახსნა-განმარტების მიხედვით, ვ. ბ. ი. ჩ.-სთან შევიდა მისთვის რჩევის მისაცემად, რომ მოეთხოვა საზოგადოებრივი ადვოკატი, შემდეგ კი მივიდა იმისთვის, რომ გადაემოწმებინა, ნამდვილად მოითხოვა თუ არა მან საზოგადოებრივი ადვოკატი. გამომდინარე აქედან, შესაძლებელია ვარაუდი, რომ ადვოკატი მოქმედებდა კლიენტის ინტერესებისთვის, თუმცა სადავოა რამდენად იყენებდა კანონიერ საშუალებებს კლიენტისთვის.

5.11 კოლეგია ყურადღებას ამახვილებს ადვოკატის არგუმენტებზე, რომ მისი შეხვედრები კლიენტთან მოიცავდა მის მონახულებას და ზოგად რჩევებს, რაც არ წარმოადგენს სისხლის სამართლის საქმეზე დაცვას და შესაძლებელია განიმარტოს როგორც ადმინისტრაციულ ორგანოში (იზოლატორში) წარმომადგენლობა. საქმის მასალებით, მათ შორის თავად ადვოკატ ვ. ბ.-ის განმარტებით დგინდება, რომ მან ორდერი გამოწერა ი. ჩ.-ის, როგორც კლიენტის მიმართ; ადვოკატი სამჯერ შეხვდა კლიენტს; ადვოკატმა კონსულტაცია გაუწია სისხლის სამართლის საქმეზე განსახორციელებელი მოქმედებების შესახებ; ადვოკატმა იზოლატორის

თანამშრომლებთან განაცხადა პრეტენზია, რატომ არ დაენიშნა ი. ჩ.-ს საზოგადოებრივი ადვოკატი. მოცემული მოქმედებები ადასტურებს, რომ ადვოკატმა ვ. ბ.-მა იზოლატორში გაუწია კლიენტს სამართლებრივი კონსულტაცია და მისი მომსახურება რჩევების გაცემით და კლიენტის საქმეზე ინფორმაციის მოთხოვნით შემოიფარგლა, მაგრამ ორდერით განსაზღვრული დავალების შინაარსიდან გამომდინარე ადვოკატის დავალებას წარმოადგენდა ,,ვ. ჩ.-ის საქმეზე (სისხლის სამართლის საქმე 1511 მუხლი) საადვოკატო მომსახურების გაწევა.“ შესაბამისად, ორდერის შინაარსი განსაზღვრულია იმდაგვარად, რომ ადვოკატს მოეპოვებინა კლიენტთან შეხვედრისა და კომუნიკაციის უფლება შემდგომი სამართლებრივი მომსახურებისთვის. შესაძლოა ადვოკატი ვ. ბ. კლიენტის ინტერესიდან გამომდინარე მოქმედებდა, მაგრამ ფორმა, რომელიც მან შეარჩია, არ შეესაბამება ეთიკურ სტანდარტებს.

5.12 განხილვის კოლეგიის შეფასებით, ადვოკატმა ვ. ბ.-მა ორდერში მიუთითა მისი სიითი ნომერი. შესაბამისად, ადვოკატმა სწორი ინფორმაცია მიაწოდა სასჯელაღსრულების დაწესებულების თანამშრომელს. ადვოკატთა ერთიანი სია საჯარო და ხელმისაწვდომია საკითხით დაინტერესებული ნებისმიერი პირისთვის, მათ შორის დროებითი მოთავსების უზრუნველყოფის ადმინისტრაციის უფლებამოსილი სუბიექტისთვის, რომელიც ვალდებულია უზრუნველყოს იზოლატორის ტერიტორიაზე შემსვლელ პირთა უფლებამოსილების შემოწმება. მიუხედავად იმისა, რომ ადვოკატის მიმართვის საფუძველზე დროებითი მოთავსების უზრუნველყოფის ადმინისტრაციის შეცდომისა თუ არაკომპეტენტურობის გამო, ადვოკატს მიეცა დაწესებულების ტერიტორიაზე შესვლის ნებართვა - ადვოკატს გააჩნია თავისი პროფესიული კეთილსინდისიერების და კანონისადმი მორჩილების ვალდებულება. მას მაინც ეკისრება ვალდებულება, პრაქტიკულად დაიცვას ადვოკატთა შესახებ კანონში ასახული დებულებები და საქმიანობა განახორციელოს მხოლოდ კანონით დადგენილ ფარგლებში. მოცემულ შემთხვევაში, ადვოკატმა გადაუხვია კანონის მოთხოვნათა შესრულებას და კლიენტის ინტერესების დასაცავად გამოიყენა საშუალება, რომელიც კანონისმიერად მას არ ჰქონდა მინიჭებული. გადაუხვია, რა კანონის ფარგლებს საკუთარ ქმედებას ამართლებს ადვოკატის ზოგადი პროფესიული ვალდებულებებისადმი ერთგულებით, რაც თვითკმარ საფუძვლად არ გამოდგება ქმედების მართლზომიერად შეფასებისთვის.

5.13 კოლეგიის შეფასებით, ადვოკატ ვ. ბ.-ის მიერ განხორციელებული მოქმედებები, კონფლიქტურია ადვოკატთა ქცევის მომწესრიგებელი ნორმების შინაარსთან, იკვეთება ადვოკატის მიერ კლიენტის დასაცავად განხორციელებულ ქმედებათა წინააღმდეგობრივი ხასიათი დადგენილ ნორმატიულ მოცემულობასთან, არ არსებობს ქმედებათა მართლზომიერად მიჩნევის საკმარისი არგუმენტები, რაც ქმნის მის მიმართ დისციპლინური პასუხიმგებლობის დაკისრების საფუძველს. ყოველივე ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, კოლეგიას მიაჩნია, რომ ადვოკატმა ვ. ბ.-მა დაარღვია კლიენტის კანონიერი საშუალებებით დაცვის ვალდებულება და იურიდიული მომსახურება განახორციელა კანონთან და ეთიკის კოდექსის დანაწესებთან შეუსაბამოდ.

5.14 განხილვის კოლეგია აღნიშნავს, რომ „ადვოკატთა შესახებ“ კანონის 34-ე მუხლით განსაზღვრულია დისციპლინური სახდელების და ზემოქმედების ღონისძიებების სახეები. ეს სახდელებია: გაფრთხილება, საადვოკატო საქმიანობის უფლების შეჩერება და საქართველოს ადვოკატთა ასოციაციის წევრობის შეწყვეტა, ხოლო ზემოქმედების ღონისძიებას წარმოადგენს კერძო სარეკომენდაციო ბარათით მიმართვა. ადვოკატის მიმართ გამოსაყენებელი დისციპლინური პასუხისმგებლობის ზომის განსაზღვრისას, მნიშვნელოვანია გამოსაყენებელი სანქციის შეფარდებისას გასათვალისწინებელი ზოგადი წესების დაცვა, რომელიც განაპირობებს სამართლიანი დისციპლინური სახდელის თუ ზემოქმედების ღონისძიების გამოყენებას, დაკისრებული პასუხისმგებლობა უნდა იყოს პირის მიერ ჩადენილი ქმედების თანაზომიერი. ასევე, გასათვალისწინებელია შემამსუბუქებელი და დამამძიმებელი გარემოებების არსებობა.

5.15 განხილვის კოლეგიამ იხელმძღვანელა პასუხისმგებლობის სამართლიანობისა და კანონიერების პრინციპით, მხედველობაში მიიღო ეთიკის კომისიის, საქართველოს უზენაესი სასამართლოს სადისციპლინო პალატის პრაქტიკა და განმარტებები პასუხისმგებლობის პროპორციულობასთან დაკავშირებით, რომელიც სასამართლომ გააკეთა გადაწყვეტილებების განხილვისას. კოლეგიამ გაითვალისწინა ადვოკატ ვ. ბ.-ის დამოკიდებულება საკუთარი ქცევის მიმართ, მისი ზოგადი კეთილისინდისიერება, კლიენტის სასარგებლოდ მოქმედების მიზანი და გადაცდომასა და პასუხისმგებლობის ფორმას შორის ურთიერთშესაბამისად მიიჩნია ადვოკატის მიმართ კერძო სარეკომენდაციო ბარათით მიმართვა.

5.16 ,,ადვოკატთა დისციპლინური პასუხისმგებლობისა და დისციპლინური წარმოების შესახებ“ დებულების 38-ე მუხლის თანახმად, ადვოკატისთვის კერძო სარეკომენდაციო ბარათით მიმართვის შემთხვევაში, იგი უნდა შეიცავდეს რჩევებსა და რეკომენდაციებს იმ ზომების შესახებ, რომელიც ადვოკატმა უნდა მიიღოს პროფესიული მოვალეობის შესრულებასთან დაკავშირებული პრობლემების აღმოფხვრისა და დისციპლინური გადაცდომის მომავალში ჩადენის თავიდან აცილების მიზნით. კერძო სარეკომენდაციო ბარათის შინაარსი კონფიდენციალურია და იგი ადვოკატს ჩაბარდება პირადად.

5.17 განხილვის კოლეგიამ იხელმძღვანელა „ადვოკატთა შესახებ“ საქართველოს კანონის 34-ე მუხლით, „ადვოკატთა დისციპლინური პასუხისმგებლობისა და დისციპლინური წარმოების შესახებ“ დებულების 33-ე, 35–ე მუხლით და 38–ე მუხლით და გადაწყვიტა:

III სარეზოლუციო ნაწილი

1. დისციპლინურ საქმეზე #039/20 ადვოკატ ვ. ბ.-ის მიმართ /სიითი #/ დისციპლინური პასუხისმგებლობის ფორმად განისაზღვროს კერძო სარეკომენდაციო ბარათით მიმართვა.
2. გადაწყვეტილების ასლი გაეგზავნოს მხარეებს.
3. კერძო სარეკომენდაციო ბარათის შინაარსი კონფიდენციალურია და ეგზავნება მხოლოდ ადვოკატს.

4. დისციპლინური ზემოქმედების ღონისძიების გამოყენების თაობაზე გადაწყვეტილება არ საჩივრდება საქართველოს უზენაეს სასამართლოში.

კოლეგიის თავმჯდომარე: /კონსტანტინე გელაშვილი/

კოლეგიის წევრი: /ეკატერინე გეწაძე/

კოლეგიის წევრი: /ეკატერინე მაჭარაშვილი/